# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 31

ქ. რუსთავი 27 „თებერვალი '' 2019წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ შ.პ.ს. ,,გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი'', წარმოდგენილი მისი დირექტორის, რეზო კობახიძის სახით (შემდგომში ,,შემსრულებელი'') და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა- ბაღების გაერთიანება" წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით (შემდგომში ,,დამკვეთი'') „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება )შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გაყინული თევზის სამი ნიმუშის (№№ 41; 36; 31 ფილიალი) ორგანოლეპტიკური და პარაზიტოლოგიური ანალიზი შერჩეულ მაჩვენებლებზე მომართვის შესაბამისად. CPV71600000

## 3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული გაწეული სამუშაოს (მომსახურების) ღირებულება შეადგენს **510 ლარს** (ხუთას ათი ლარი) დღგ-სა (დამატებითი ღირებულების გადასახადი) და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშწორება ხორციელდება კვლევის დასრულების შემდეგ მიღება - ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. დაფინანსების წყარო : 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (სუბსიდია)

## 4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1.მომსახურების გაწევის ადგილი-ქ.რუსთავი.

4.2.მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 27 თებერვლიდან 27 მარტის ჩათვლით.

## 5. მხარეთაუფლება-მოვალეობანი

5,1. დამკვეთი ვალდებულია:

5.1.1. ანალიტიკური ექსპერტიზის ჩასატარებლად წარუდგინოს „შემსრულებელს", კონკრეტული შეკვეთის ტექნიკურიდავალება.

5.1.2. გააფორმოს ნიმუშების მიღება-ჩაბარების აქტი.

## 5.2. შემსრულებელი ვალდებულია:

5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ხარისხიანად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

5.2.2. ჩაატაროს ლაბორატორიული კვლევა ტექნიკური დავალების არსებული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

5.2.3. ნიმუშის მირებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა გასცენ ანალიტიკური გამოცდის ოქმი.

## 6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

6.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს გერთიანების კვებისა და სანიტარული ნორმების ინსპექტირების

განყოფილებისუფროსიმაიალაცაბიძედახარისხისკონტროლისჯგუფისუფროსიქეთინო მარტყოფლიშვილი.

6.2.ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:

6.3. შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.

6.4.შემსრულებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

6.5.ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით. დაფისქირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „შემსრულებლის „მიერ საკუთარი ხარჯებით.

## 7.ხელშეკრულების პირობებისშეუსრულებლობა

7.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით, ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს დამკვეთი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და შემსრულებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

## 8.დაუძლეველი ძალა

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებული დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმებისსაფუძველზე;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

9.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან დამკვეთის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.6. მხარე ვალდებულია 9.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10.სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის წესით.

## 11.ხელშეკრულების მოქმედებისვადა

11.1. ხელშეკრულება შედგენილლია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი შემსრულებელთან, ხოლო ერთი დამკვეთთან).

11.2. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 27 თებერვლიდან 2019 წლის 27 მარტის ჩათვლით.

| დამკვეთი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ააიპ „ქალაქ რუსთავის სავბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“<br>ს/კ: 216439325<br>მისამართი: ქ.რუსთავი, კოსტავას გამზ.20 | შპს ,,გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტი“<br>ს/ კ202057219<br>მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის N78<br>G.Natadze Institute of Sanitation, Hygiene and Medical Ecology Research LLC<br>Digitally signed by G.Natadze Institute of Sanitation, Hygiene and Medical Ecology Research LLC<br>Date: 2019.02.27 15:05:14 +04'00' |
| ბანკი: სახელმწიფო ხაზინა<br>ბ/კოდი : TRESGE22<br>ა/ა : GE24NB0330100200165022 | ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია“ დიდუბის ფილიალი<br>ბ/კოდი: UGEBGE 22<br>ა/ა GE48VT6500000003143602 |
| დირექტორი<br>----------<br>ეკატერინა ხუციშვილი | დირექტორი<br>----------<br>რეზო კობახიძე<br>Rezo Kobakhidze<br>Digitally signed by Rezo Kobakhidze<br>Date: 2019.02.27 15:06:37 +04'00' |

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2019.02.27 15:50:26 +04'00'